პროექტი

1. **პროექტის სახელწოდება:** სტიქიური მოვლენები თბილისში
2. **პროექტის მთავარი იდეა:** მოსწავლეების მაქსიმალური ინფორმირება თბილისში მომხდარი სტიქიური მოვლენების და მათი განმეორების ალბათობის შესახებ. დავანახოთ ადამიანებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, რა იწვევს მათ და როგორ ავირიდოთ ისინი თავიდან?
3. **პროექტის აქტუალობა:** თბილისის ისტორიაში მრავლადაა ცნობები ბუნებრივი კატასტროფების შესახებ. რა ვიცით მათ შესახებ? მოსწავლეები, ამ პროექტზე მუშაობით, გამოიმუშავებენ სტიქიური მოვლენების იდენტიფიცირების უნარს და განუვითარდებათ საგანგებო სიტუაციებში შეუცდომლად და უსაფრთხოდ მოქმედების უნარი, რათა მათ შეძლონ ურთიერთდახმარება, საკუთარი და გვერდითმყოფის სიცოცხლის გადარჩენ,ა სხვადასხვა სახის საგანგებო ვითარებაში. დაეხმარება მოსწავლეებს ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებაში.
4. **პროექტის მიზნები:** მოსახლეობის ინფორმირება და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გაზრდა. მოსწავლეს განუვითარდეს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება, მსჯელობის, საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემის, დასკვნების გამოტანის, შემოქმედებითობისა და კვლევა-ძიების უნარები.
5. **მონაწილეთა ასაკი:** 13-14 წელი - IX კლასი
6. **ვადები / ხანგრძლივობა:** 4 კვირა
7. **მოსალოდნელი შედეგები/ პროდუქტები, რაც შეიძლება შეიქმნას:** ინფორმაციის მოპოვება თბილისში ომხდარი კატასთროფების შესახებ. ვიდეო და ფოთო მასალის შეგროვება, ფოტოკოლაჟისა და ბუკლეტის შექმნა, ე.წ. სემაფორული რუკის შექმნა, პრეზენტაციის მომზადება და განხორციელება.მოსწავლეები შექმნიან საკუთარ ვებ-გვერდს.
8. **პროექტისათვის საჭირო ძირითადი რესურსები:** ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა, კომპიუტერი, პროექტორი, ჟურნალ-გაზეთები, დამხმარე ლიტერატურა, თემატური და კონტურული რუკები, სურათები, ფორმატები, მარკერები.
9. **პროექტის მსვლელობა:** 1) მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად (4 ჯგუფი). I.სეისმოლოგები - შეისწავლიან თბილისში მომხდარი მიწისძვრების ისტორიას. II.მეტეოროლოგები - შეისწავლიან კლიმატთან დაკავშირებულ კატასტროფებს. III.ჰიდროლოგები - შეიწავლიან წყალდიდობების ისტორიას თბილისში. IV.გეომორფოლოგები - შეისწავლიან მეწყერებსა და ღვარცოფებს, რომელებიც თავს დაატყდა თბილისს. 2) მოსწავლეები ლიტერატურის, ინტერნეტისა და ჟურნალ-გაზეთების გამოყენებით შეისწავლიან შესაბამის სტიქიურ მოვლენებს. 3) მოსწავლეები ჩაატარებენ გამოკითხვას წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით (რესპოდენტები იქნებიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ისე რეგონის მაცხოვრებლები), რომლის მიზანიცაა ინფორმირებულობის დონის დადგენა.4) ინტერვიუ ექსპერტებთან. ინტერვიუს აღების მიზნით, ჯგუფებიმიმართავენ შესაბამის ბუნებისდაცვით ოგანიზაციებს და დაადგენენ სტიქიის გამომზვევ მიზეზებს და მისი პრევენციის გზებს. ინტერვიუსათვის მიმართავენ: - ა) გეოლოგიის ინსტიტუტის სეისმოლოგიურ ცენტრს; ბ) საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურს; გ) გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს. დ) მეტეოროლოგიის ინსტიტუტს. 5) საველე გასვლის დროს გადაიღებენ კატასტროფების დროს დაზიანებული და სავარაუდო რისკის მქონე ადგილების ამსახველ სურათებს და ვიდეო-რგოლს. 6) გაანალიზებენ შეგროვილ მასალას, შეაფასებენ თბილისში კატასტროფული მოვლენების ალბათობის რისკს. 7) შექმნიან

ბროშურას, რომელშიც ჩამოაყალიბებენ სხვდასხვა სტიქიური მოვლენის თავიდან აცილების გზებს და თავდაცვის ხერხებს. გაავრცელებენ მოსახლეობაში. 8) შექმნიან მარტივ სემაფორულ რუკას, რომელზეც შესაბამისი პირობითი ნიშნებით, დატანილი იქნება მაღალი რისკის მქონე ,,ცხელი წერტილები''. რუკას გამოაკრავენ სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას. 9) მოამზადებენ და განახორციელებენ პრეზენტაციას. 10) შექმნიან საკუთარ ვებ-გვერდს.

10. **საგნებთან / საგნობრივ ჯგუფებთან / ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი:** 1) გეოგრაფია; 2) ისტორია. **გეო.IX.5.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოში გეოეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● აღწერს საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ბუნებრივი სტიქიური მოვლენის კატასტროფულ ხასიათს და ვარაუდობს მათი თავიდან აცილების შესაძლო ღონისძიებებს; კლასის წინაშე წარმოადგენს კვლევის შედეგებს;– ჩამოთვლის საქართველოში მომუშავე ბუნებისდაცვით ორგანიზაციებს და ეცნობა მათი მუშაობის სტრატეგიებს; შეუძლია საჭიროებისამებრ მათ მიმართოს; ● თანატოლებთან ერთად ადგენს და შეძლებისდაგვარად ახორციელებს გარემოსდაცვით მარტივ პროექტებს (მიზანი, ამოცანები, გადაჭრის გზები, მოსალოდნელი შედეგები)
11. **პროექტის ხელმძღვანელი:** ჟუჟუნა ჯაში
12. **ხელმძღვანელის ელ.ფოსტა:** zhuzhunajashi@gmail.com
13. **პროექტის ვებ-გვერდი / ბლოგი:** zhuzhunajashiblogpost.com